



# ქვეყნის

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი • სპეციალური საიუბილეო გამოცემა

## ლიტერატურული თეატრი 20 წლისაა



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

### ხარაგაულის სახალხო თეატრის იუბილე

ქართული კულტურის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონებში შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურება. აღნიშნულ პროცესში უკვე 20 წელია ჩართულია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი. ამ წლების მანძილზე თეატრმა მრავალი ქართველი მწერლისა თუ ხელოვანის შემოქმედება გახადა მაყურებლისათვის ნაცნობი და ნაწარმოების გმირები სცენაზე გააცოცხლა. დასის აქტიურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თეატრს რეპერტუარში 53 სპექტაკლი აქვს.

მოხარული ვარ, რომ კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით მათ ბოლო პერიოდში წარმატებული პროექტები განახორციელეს.

ვულოცავ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრის თანამშრომლებს ამ იუბილეს და წარმატებას ვუსურვებ მათ.

**მინაილ გიორგაძე,**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი, რომლის დამაარსებელი, სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი ქალბატონი იზა ვეფხვაძე, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს კულტურული ყოფის ისტორიაში.

ოცი წლის საიუბილეო თარიღს თეატრი ღირსეულად ხვდება.

ქალბატონმა იზამ მრავალი ჭეშმარიტი მამულიშვილი გააცოცხლა ახალ რეალობაში და მათი, როგორც პიროვნებების დიდი ღვაწლი წარმოაჩინა ქართული მხატვრული სიტყვის მაღალი ოსტატობით.

მივესალმები იმ ფაქტს, რომ ქალბატონ იზას და მის თეატრს იცნობს სრულიად საქართველო და სათანადო რეზონანსიც აქვს უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

მნამს, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან თანადგომა კიდევ უფრო გააფართოვებს მათ ასპარეზს, კიდევ უფრო შთამბეჭქდავს გახდის იმ სამომავლო გეგმებს, რომლისკენაც ასეთი თავდადება და შემართებით მიისწრაფვის ლიტერატურული თეატრი.

ბედნიერი სამომავლო გზა მოყვასის სიყვარულით გაჯერებულ თეატრს და მის უნიჭიერეს ხელმძღვანელს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს.

**კობა ლუსსმანაშვილი,**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი

სათაურში გამოტანილი სიტყვები დიდი ქართველი მამულიშვილის, ხარაგაულელთა სიამაყის, რევზ თაბუკაშვილის ანდერძიდანაა, სიკვდილის წინ ლექსად რომ დაუტოვა შვილიშვილებს.

ფიქრობ, ამ ფილოსოფიურ სტრიქონებში განითვლებული რევზ თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებლის, მსახიობის, რეჟისორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, დიდებული ქართველი ქალის იზა ვეფხვაძის შემოქმედებითი სული და მგზნებარება, რასაც იგი უშურველად სთავაზობს სრულიად საქართველოს.

20 წლის წინათ, როცა საქართველოში დატრიალებული უბედურების შავი ღრუბლები ჯერ კიდევ არ იყო გაფანტული, ქვეყანა უკუნსა და სიბნელეში ხელისცეცებით დაექმდა მშველელს, გაუსადღის ცხოვრებას ბევრი ველარ უძლებდა და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდა, ან თუ შესაძლებლობა მიეცემოდა ლუკმაპურის საშოვნელად საკუთარი ქვეყნიდან გარბოდა, ხარაგაულში, საკუთარი ხალხის ბედზე დაფიქრებული პირმშვენიერი ასული ღამეებს თეთრად ათენებდა იმის ფიქრში, რით შეშველებოდა თავის ქვეყანას, რით გაეთბო გული სვედამწარებელი, ომგამოვლილი და გაუბედურებული ხალხისათვის.

სხვებისაგან განსხვავებით, ნათელი გონების, წიგნიერი, სიკეთით სავსე ახალგაზრდა ქალბატონი მიხვდა, რომ განამებული ხალხისათვის საჭირო და აუცილებელია სიკეთის, სიყვარულის, რწმენის დაბრუნება, იმედის გაჩენა, რომ ამქვეყნად ყველაფერი დაღუპული არ არის; რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც შეუძლია თავი განაცვალოს, სიცოცხლე განიროს იმისათვის, შენ რომ გადარჩე...

20 წელი გასულა, ვერც წარმოვიდგენდი! თითქოს ახლახანს იყო, როცა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ პირველი სპექტაკლი წარმოგვიდგინა. კი ვიცოდი რომ ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ მისი შესაძლებლობების მასშტაბებზე წარმოვიდგინაც არ მქონდა. დიდებული თეატრი შედგა. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი წინ არის. ვულოცავ იუბილეს ქალბატონ იზას, ქალბატონ დალის, ბატონ ვანოს და თეატრის თითოეულ მუშაკს, რომელთა გარეშე ეს გამარჯვებები ვერ იქნებოდა.

**ნოდარ ეპანოიძე,**

ხარაგაულის მფორიტარი დეპუტატი

„ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდება ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“ ეს გურამ დონანაშვილის უკვდავი ფორმულა გახლავთ მათთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს.

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, აგერ უკვე ორი ათეული წელია გვაზიარებს ლიტერატურის სიყვარულს, გვაცნობს ღირსეული მამულიშვილების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. თეატრი, რომელიც ატარებს ჩვენთვის საამაყო ერისკაცის სახელს და რომლის რეპერტუარშიც წლებთან ერთად სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ვულოცავ თეატრს საიუბილეო თარიღს. თეატრის დამაარსებელსა და რეჟისორს ქალბატონ იზა ვეფხვაძეს კი თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ვუსურვებ კიდევ უფრო წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას.

**ინგა მალრაძე,**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხომ ისაა, მინიჭო ადამიანს სიხარული. აკი ზამთარ-ზაფხულ, ყინვასა თუ ხვამში, საქართველოს მთა-ბარში დადის ლამაზი ქალბატონი და სიხარულით ავსებს ყველას, ვისთანაც სინაზითა და კდემით შეაბიჯებს, იქნება ეს დედაქალაქში თუ ყველასგან მიტოვებულ საზღვრისპირა სოფელში, სადაც სიღუბნის გამო ხელი ჰქონდათ ჩაქეული ცხოვრებაზე, მაგრამ იზა ვეფხვაძემ ლიტერატურული სპექტაკლით აქ სიყვარულის ისეთი ცეცხლი დაანთო, რომელმაც იმედის სხივი გაუჩინა და მომავლის რწმენა ჩაუნერგა ზნეობით შემკულ ადგილობრივ მოსახლეობას.

ვისაც იზა ვეფხვაძის სპექტაკლის დამ-

ბი, განსჯანი და შეფასებები. მაყურებელი თავადაა ამ ყველაფრის გულწრფელად აღქმელი და შემფასებელი.

იზა ვეფხვაძემ 20 წლის განმავლობაში 53 ლიტერატურული სპექტაკლი შესთავაზა საზოგადოებას და ყოველი სპექტაკლის შემდეგ ახალ-ახალი თავყანისმცემლები ემატებოდნენ მისი ნიჭითა და სათნოებით მოხიბლული გულმემატიკვრების უზარმაზარ არმიას.

რაც განვილი 20 წლის განმავლობაში იზა ვეფხვაძემ საქართველოსთვის აკეთა, ეს ერთ პიროვნებას კი არა, სახელმწიფო თეატრის მრავალრიცხოვან დასსაც კი გაუჭირდებოდა. ამიტომ მოიბოვა ამ თეატრის დამაარსებელმა, სამხატვრო ხელმძღვანელმა და მსახიობმა მთელი საქართველოს გულწრფელი სიყვარული. ამაზე დიდი აღიარება შემოქმედისთვის არაფერია, თუმცა, ძლიერთა ამა ქვეყნისათაც რომ ენახათ იზა ვეფხვაძის ლიტერატურული სპექტაკლები, ნამდვილად არ აწყენდათ და ვინ იცის, საქმეშიც როგორ ნაადგებოდათ.

ჩემო ძვირფასო ხარაგაულელებო! დიდი მადლობა თქვენ, რომ სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად, გავიზარდეთ და ქვეყანას აჩუქეთ არა მხოლოდ დიდებული შემოქმედისთვის არამედ უბრწყინვალესი პიროვნება, დიდ ქართველ ქალთა ღირსეული მემკვიდრე იზა ვეფხვაძე, რომელიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, თავისი ახალი ლიტერატურული სპექტაკლებით კვლავ არაერთხელ გაახარებს მაყურებელს.

ძვირფასო იზა! გილოცავ შენი პირმშოს – რევზ თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის დაბადები 20 წლისთავს, რომელიც დიდ ქარ-ცეცხლში გამოატარე, ბრძოლაც ასწავლე და შრომაც, მოყვასიც გაცაწი და „ფეხიც აადგევიე“, რათა მულგამაგრებულმა სხვა ქვეყნების მაყურებელსაც აგრძობინოს ქართული კულტურისა და ხელოვნების გულისცემა. დიდი მადლობა ქართული სულის ამალღებისათვის, შენი ხალხისა და სამშობლოს უანგარო სიყვარულისათვის!

მარადიული ერთგულებით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით

**ინგა ჯაფარიძე,**

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საზოგადოებრივი მუშაველების რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების წამყვანი, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

## „მე ნაზად, მამიამ სამულაოდ თქვენთან ღაჟინები“ ...



და ამ ფიქრთა მთვევლის გონებაში დაიბადა დიდებული იდეა – შეექმნა ლიტერატურული თეატრი, საიდანაც ხალხს დაანახებდა და გაავებინებდა, თუ რა შესანიშნავი ქმნილებაა ადამიანი, რომელიც სიყვარულით, სიკეთით ცხოვრობს და მოყვასისათვის შეუძლია თავგანწირული შრომა, უანგარო მოღვაწეობა.

20 წელიწადია იზა ვეფხვაძე თავდაუზოგავად შრომობს, არ შეჩერებულა, არ ჩაუმუხლავს, რათა საკუთარ სულში გამოტარებული ისეთი საკვები მიეცა საზოგადოებისათვის, ერთხელ რომ იგემებდა და სამუდამოდ დაპურდებოდა.

იზა ვეფხვაძის ცხოვრებისეული კრედიო, მისი ცხოვრების მთავარი დევიზიც

თავრების შემდეგ არ უნახავს ამ გამრჯე, მშრომელი ადამიანების სახეები, ის ვერასდროს გაიგებს სიხარულის განცდის მასშტაბს, მისი ცხოველყოფილობის ძალმოხილვას. ამ დროს, მათ წინაშე იდგა არა მხოლოდ ნიჭიერი შემოქმედი, არამედ ქალი-ღვთაება, რომელმაც გულში ჩამწვდომი სიტყვით, საამო ხმითა და ხელების ნაზი მოძრაობით თითქოს შეძრა და შეაბარბაცა დედამინა.

ბედნიერებაა, როცა შენი შემოქმედებით შეგიძლია აატირო და ცრემლად დაადნო მაყურებელი. ესაა ჭეშმარიტი შემოქმედების უტყუარი დასტური. ასეთ მოვლენას არ სჭირდება რეცენზიები, საჯარო განხილვე-

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი შეიქმნა 1995 წელს, მისი დამაარსებელი, სცენარისტი და რეჟისორია იზა ვეფხვაძე.

ლიტერატურული თეატრი პოპულარიზაციას უწევს ქართულ და მსოფლიო კულტურას, მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას, ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავებას.

1998 წელს თეატრს დიდი ქართველი მამულიშვილის რეზო თაბუკაშვილის სახელი მიენიჭა, ხოლო 2002 წელს კულტურის

# თეატრის წარსულიდან...

„და ჯადოქრობას უფრო ჰგავდა მისი ცხოვრება“ – ეძღვნება უშანგი ჩხეიძის ცხოვრებას და შემოქმედებას;

„უცებ მოსწყდება ვარსკვლავი“ – ეძღვნება ვეგენი ხარაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას;

„სიყვარულის სამოსელი“ – ეძღვნება გურამ დოჩანაშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას.



რის სამინისტროს გადანაცვლებით სახალხო თეატრის წოდება.

თეატრს რეპერტუარში აქვს 53 ლიტერატურული სპექტაკლი, რომელიც ნაჩვენებ იქნა თითქმის 700-ჯერ საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა ქალაქებში.

თეატრის რეპერტუარშია ლიტერატურული სპექტაკლები ცნობილ მწერლებზე, მეცნიერებზე, ხელოვნების მოღვაწეებზე:

„ჩვენი ოტია“ – ეძღვნება ოტია იოსელიანის ცხოვრებას და შემოქმედებას; „საქართველოს შიშველი სატევარი“ – ეძღვნება მერაბ კოსტავას სსოვნას;

„ამ მიწის ბედი ჩემი ბედაა“ – ეძღვნება გოდერძი ჩოხელის ცხოვრებას და შემოქმედებას;

„ლევინის მთაწინა“ – ეძღვნება ლევინის სასაფლაოზე დაკრძალულ ქართველთა სსოვნას;

„ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ – ეძღვნება ქართულ-ებრაული ურთიერთობების 26 საუკუნოვან ისტორიას;

„მთების ბალადა“ – ეძღვნება ლეგენდარულ მთამსვლელებს ალექსანდრა, ალიოშა, სიმონ ჯაფარიძეებს;

„მოყვასისათვის შეწირულები“ – ეძღვნება ზნეობრივ გმირებს, ადამიანებს, ვინც საკუთარი სიცოცხლე გასწირა მოყვასის გადასარჩენად (გრიგოლ ფერაძე, მიხეილ თამარაშვილი, სერგო კლდიაშვილი, იოსებ ჟორდანიას, მამა ილია კარტოზია, თევდორე ბერი, ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, 10 000 მონამე და სხვა ისტორიულ გმირები);

„ნუთუ ეს მე ვარ...“ – ეძღვნება ესმა ონიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას;

„ჩვენც ვიდავითებო, დავითი!“ – ეძღვნება დავით სარაჯიშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას;

„მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“ – ეძღვნება რეზო თაბუკაშვილის სსოვნას;

„კოკროჭინა იმერეთი“ – ეძღვნება თამაზ სანებლიძის შემოქმედებას;

„ზღვამ დაგვანახა მისი სიმალე“ – ეძღვნება გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას;

მოქმედებას.

„სევდის სიმღერა“ – ეძღვნება პაოლო იაშვილს და ტიცინ ტაბიძეს;

„საქართველო ჩირაღდანად მინთია“ – ეძღვნება ოთარ მამფორიას შემოქმედებას;

„გალაკტიონის ნატერფალები“ – ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს;

„მარადისობის მგზავრი“ – ეძღვნება თამაზ კიკნაძის სსოვნას;

„წყალნიღვას ჭალაში დაქროლილი ნიაგო“ – ეძღვნება ზურაბ კუხიანიძის შემოქმედებას;

„ო, ენა ჩემო“ – ეძღვნება ქართულ ენას;

„მე ვარ მისანი ხარი ნიქარა“ – ეძღვნება შოთა ნიშნიანიძეს;

„ჩემი ბაგრატი და ქუთაისი“ – ეძღვნება ქუთაისის და ბაგრატს;

„მასსოვს ხარაგაული“ – ეძღვნება ხარაგაულს;

„არის ასეთი სოფელი“ – ეძღვნება სოფელ ფარცხანას;

„ბუნების დიდოსტატი“ – ეძღვნება გივი ბრეგვაძის სსოვნას;

„მთამ დაგილოცა სავალი გზები“ – ეძღვნება დეკანოზ თავმას ჩოხელს

„მუსიკის ქარში ნაქსოვი სიბრძნე“ – ეძღვნება რეზო ჭეიშვილს;

„სული ობოლი“ – ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას;

„სიყვარულის საგალობელი, სიყვარულის ბარათები“ – ეძღვნება გამოჩენილი ადამიანების სიყვარულის ისტორიებს; და კიდევ მრავალი სხვა;

თეატრმა თბილისში, ქუთაისსა და ხარაგაულში არაერთ ცნობილ მწერალს გადაუხადა საიუბილეო თარიღები, მათ შორის მარჯანიშვილის, რუსთაველის და მესხიშვილის თეატრებში: ოთარ მამფორიას, რეზო ჭეიშვილს, ზურაბ კუხიანიძეს, გურამ დოჩანაშვილს, ლილი ნუცუბიძეს...

აღნიშნული სპექტაკლები გახლავთ იზა ვეფხვაძის საავტორო ლიტერატურული სპექტაკლები;

2013 წლამდე თეატრი არსებობდა ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, ხოლო 2013 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ აიპად „რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი“.

ვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი“. თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია მისი დამაარსებელი იზა ვეფხვაძე.

თეატრს ჰყავს მუსიკალური გამფორმებელი – დალი მერაბიშვილი, ტექნიკური მენეჯერი – ივანე ჭიპაშვილი, ასევე სხვა ტექნიკური პერსონალი.

თეატრს განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, მათ შორის „პაემანი ხარაგაულის რკინიგზის სადგურზე“, „პაემანი გორაზე“, „ყვავილების დღესასწაული“, „სიყვარულის დღე“, „რაც ადრე თქვენთვის დამრჩა უთქმელი“, შეხვედრების ციკლი ცნობილ ადამიანებთან....

2012-14 წლებში თეატრმა განახორციელა კულტურის სამინისტროს 3 პროექტი „მთების ძახილი“ (2 ნაწილად) და „ამ სიყვარულით შევცვლით სამყაროს“... ამ პროექტების ფარგლებში 30-ზე მეტი საღამო ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში;

პროექტ „მთების ძახილი“-ს ფარგლებში, თეატრმა ლიტერატურული წარმოდგენები გამართა საქართველოს მთიან რეგიონებში: სვანეთში (მესტია და უშგული), მთიულეთში (ფსანაური, დუშეთი), ზემო იმერეთში (სახჩერე, წყალტუბო), თიანეთში, ხევსურეთში (მუცოს ციხე), 7 რეგიონსა და 12 ტერიტორიულ ერთეულში. აღნიშნული საღამოები ფართოდ გაშუქდა საქართველოს ტელევიზიებით, საინფორმაციო სააგენტოებით, პრესით.



თეატრმა და კულტურის სამინისტრომ მიიღო მადლიერი მაყურებლის არაერთი მადლობის წერილი (30-ზე მეტი წერილი).

2014 წელს, კი კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ამ სიყვარულით შევცვლით სამყაროს“ ფარგლებში, ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი იუბილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლები გაიმართა საქართველოს 7 ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ებრაელები საუკუნეთა განმავლობაში სახლობდნენ, ესენია: ქუთაისი, სურამი, მარტვილი, სენაკი, ცაგერი, სამტრედია (კულაში), მცხეთა, ასევე გაიმართა თბილისში, ებრაელთა სათემო სახლში. ეს საღამოებიც ფართოდ გაშუქდა საქართველოს ტელევიზიებით (იმედი, რუსთავი 2, ყველა რეგიონალური ტელევიზიით, ტელეკომპანია „რონმა“ გააკეთა სპექტაკლის სრული ჩანაწერი) საქართველოში არსებული ყველა საინფორმაციო სააგენტოებით, პრესით, ქართულ-ებრაული ჟურნალ-გაზეთებით, მათ შორის ნიუ-იორკში გამომავალი გა-

ზეთით „დავითის ფარი“. თეატრმა და კულტურის სამინისტრომ მიიღო მადლიერი მაყურებლის არაერთი მადლობის წერილი, მათ შორის საქართველოში და უცხოეთში მცხოვრები ებრაელების და ებრაული ორგანიზაციების.

2014 წელს, თბილისში, თეატრმა ასევე გამართა პრემიერა ლიტერატურული სპექტაკლისა „ლევინის მთაწინადა“, რომელიც მიეძღვნა ლევინის სასაფლაოზე დაკრძალულ ქართველთა სსოვნას.

პროექტ „მთების ბალადის“ ფარგლებში სპორტის სამინისტროსთან, მეცნიერებათა აკადემიასთან და მთამსვლელთა ფედერაციასთან ერთად, არაერთი საღამო გაიმართა საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც განვითარებულია ალპინიზმი. აღნიშნული სპექტაკლი ეძღვნება ლეგენდარულ მთამსვლელებს ალიოშა, ალექსანდრა და სიმონ ჯაფარიძეებს.

ლიტერატურული თეატრის საქმიანობა სისტემატურად შუქდება საქართველოს ტელევიზიებით, პრესით, საინფორმაციო სააგენტოებით, ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთებით.

საქართველოს ტელევიზიების არხებზე: „ერთსულოვნება“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ქართული არხი“, „რონმა“, ყოველთვიურად გადის ლიტერატურული სპექტაკლების სრული ჩანაწერები.

2014 წლის დეკემბერში, თეატრმა მეცხვარეებისათვის, შირაქის ველზე, საზღვრისპირა სოფელ კასრისწყალში მეცხვარეთა ასოციაციასთან ერთად გამართა ლიტერატურული სპექტაკლი. პარალელურად მოეწყო აქცია „აჩუქეთ წიგნი მწყემსებს“, რომელშიც მთელი

საქართველო ჩაერთო, მათ შორის კულტურის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, მწერალთა სახლი, არაერთი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე და 1000-ზე მეტი უნიკალური წიგნი გადაეცა მეცხვარეებს და კასრისწყლის საჯარო სკოლას.

2014 წლის აპრილიდან თეატრი საქართველოს ეპარქიაში მართავს ლიტერატურულ სპექტაკლს „მოყვასისათვის შეწირულები“....

თეატრი ტრადიციულად, ყოველწლიურად, მართავს ლიტერატურულ კონკურსს „ოლეონი“, რომელშიც, მთელი საქართველოს მასშტაბით მონაწილეობენ შემოქმედი ადამიანები. კონკურსს აქვს თავისი ლოგო, ჰიმნი და სხვა ატრიბუტიკა.

თეატრში აქტიური, შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, მის დამაარსებელს და ხელმძღვანელს – იზა ვეფხვაძეს მინიჭებული აქვს „ლირსების ორდენი“, „პატივების სიგელი“, „სახალხო დიპლომატიის სიგელი“, „ხალხის რჩეულის წოდება“ და კიდევ არაერთი დიპლომი და სიგელი.

## თეატრის შესახებ წერდნენ:

„ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი მეგობარი და უერთგულესი შუამავალია მკითხველსა და მწერალს შორის“. (ოტია იოსელიანი)

„ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში მწერლებს, პოეტებს, ნაოცნებარ და ზღაპრულ სამყაროში ამოგზავრებენ“. (შოთა ნიშნიანიძე)

„ვერასოდეს ვერ დავივწყევ რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილ გამოგნებულ სპექტაკლს და იზა ვეფხვაძეს – რომელიც მე პირველად ხარაგაულში ვიხილე“. (გურამ დოჩანაშვილი)

„მე სიტყვები არ მყოფნის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის საქმიანობის შესამკობად. ბარაქალა ამ ქართულ საქმეს! (კიტა ბუაჩიძე)

„ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი უდიდესი მონაპოვარია ქართული კულტურისათვის, ეს არის

სრულიად ახალი სიტყვა ქართულ ხელოვნებაში.“ – (ვეგენი ხარაძე)

„ხარაგაულის ლიტერატურულმა თეატრმა გამოგნა და თან ახალი სიტყვა მარჯა“. (ოთარ მამფორია)

„მე ვერ ვიჯერებ იმას, რაც ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში ვიხილე, მე იქ სუნთქვისასაც კი მეშინოდა“. (დევი აბაშიძე)

„ხარაგაულის ლიტერატურულმა თეატრმა უშანგი ჩხეიძის უკვდავების ძეგლი დაუდგა, სპექტაკლზე მე მოვკვდი და მერე გავცოცხლდი.“ (ნინიკო ჩხეიძე)

„ბედნიერი ვარ, როცა ასეთ ნიჭიერებას და ქართულ საქმეს ვუყურებ“. (ედმერ მალაშვილი)

„ქართული კულტურის და ქართული სულის გადარჩენა ლოზუნგების გარეშე – აი, რა ხდება ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში“. (გიდარ ფალავანდიშვილი)

„ერთი ადამიანის ნიჭს და შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება ის, რაც მე ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში ვიხილე, მე ნანახმა გამოაცა.“ (გიგა ლორთქიფანიძე)

„უსაზღვროდ საჭირო ქართულ საქმეს აკეთებს ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი, მე სპექტაკლის მსვლელობისას არაერთხელ ვიკითხე „ეს რა ხდება?“ (გოგი გაგეჭკორი)

„ვერც დავიჯერებდი რომ არ მენახა, ნახეთ ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის წარმოდგენები და გაგეხარდებათ რომ ქართველი ხართ“. (ვანო საყვარელიძე)

„მსახიობს მესიერება როგორ უნდა გაგიკვირდეს, მაგრამ მართლა გამოაცა უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილ სპექტაკლზე იზა ვეფხვაძის მესიერებამ, არტისტიზმმა და სიყვარულმა საქმისადმი! (ოთარ მეღვინეთუშუცესი)

# ამონაწერი თეატრის შთაბეჭდილების წიგნიდან:

ხარაგაულში, ლიტერატურულმა თეატრმა და იზა ვეფხვაძემ კიდევ ერთი სიცოცხლე აჩუქა გურამ რჩეულიშვილს.

**ერლომ ახვლედიანი, მწერალი, რეჟისორი, 1999 წლის 3 აპრილი**



დღეს, ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში დავრწმუნდი, რომ საქართველოს ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა ეროვნული გაერთიანებისა და სულიერი აღდგომისა.

**გურამ გეგეშიძე, მწერალი, 1999 წლის 3 აპრილი**



გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილმა სალამომ ხარაგაულში, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გურამმა ჭეშმარიტად სახალხო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა. სალამო წარმოუდგენლად მაღალ დონეზე იქნა ჩატარებული, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იზა ვეფხვაძის ნიჭიერებამ. მადლობა ხარაგაულს, ამ ზეიმის ჩუქებისთვის.

**დავით ჯავახიშვილი, მწერალი, 1999 წლის 3 აპრილი**



გურამისადმი მიძღვნილი ასობით დიდებული სალამოდან, გამოვარჩევი ხარაგაულში ჩატარებულ გურამის ხსოვნის სალამოს. ქალბატონო იზა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი დარბაზი გატაცებით მიჰყვებოდა თქვენს სიტყვას, ყველას გადმოგვეცით ის ემოციური მუსიკა, რომელიც ამ სიყვარულის საფუძველში ჩადეთ. გურამის ეს სალამო ყველა სხვა სალამოსაგან გამოირჩეოდა ნიჭიერებით, საოცარი გულწრფელობით, არტისტულობით.

**მარინე რჩეულიშვილი, გურამ რჩეულიშვილის და, 1999 წლის 3 აპრილი**



დიდად მოვიხიბლე-მეთქი, რომ ვთქვა, ძალზე ცოტაა იმ შთაბეჭდილებასთან რაც დღეს მივიღე უშანგი ჩხეიძის სალამოზე ხარაგაულში... დიდი უშანგი ჩხეიძის ცეცხლით ანთებული ქალბატონო იზა, იხაროს იმ ფუძემ, საიდანაც მოგვევლინეთ - მრავალჟამიერ.

**ნუნუ ხეჩია, იპოლიტე ხეჩიას ქალიშვილი 23.09.1999**



2005 წლის 31 მაისი. თბილისში კოკისპირულად წვიმდა. ხარაგაულში გამოვემზავრეთ, იქ გურამ დოჩანაშვილის სალამოს მართავს ლიტერატურული თეატრი. სცენა, სავსე დარბაზი, იმერული სიტბო, დაიწყო სალამო, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ნიჭი დანავარდობდა სცენაზე. ქალბატონო იზა, თქვენ კიდევ ერთხელ დამარწმუნეთ, რომ კოკროჭინა იმერეთი მართლაც ერთადერთია.

**თამაზ სანებლიძე, ექიმი, პოეტი**



ხარაგაულის, მთელი საქართველოს სიამაყეს, ჩვენს ლიტერატურულ თეატრს და ქალბატონ იზას დიდი მადლობა ასეთი მოღვაწეობისათვის.

**გურამ დოჩანაშვილი, მწერალი, 2005 წლის 31 მაისი.**



ეგვენი ხარაძისადმი მიძღვნილი, იზა ვეფხვაძის საუცხოო ლიტერატურულ კომპოზიციაში იყო: ასტრონომია, ფილოსოფია, პოეზია, მეცნიერება, ფიქრი, ცხოვრებისა და ყოფიერების რაობის განსჯა, მოკლედ ყველაფერი ის, რაც ეგვენი ხარაძის ცხოვრების აზრი იყო.

**შალვა საბაშვილი, ასტრონომი, 30.10.2001 წელი.**



დიდი მადლობა ქალბატონო იზა, თქვენ მიძინებულ ქართულ სულს აღვიძებთ, თქვენ გაყინულ ქვის გულებს ცეცხლს შთაბერავთ და აცოცხლებთ, თქვენ ქმნით ქართველი გმირის სულის აღორძინებას.

**მონაზონი ელენე ნაფეტვარიძე, 21 აპრილი, 2015 წელი**



დღეს, საჩხერეში უზვად დაიფრქვა აღდგომის მადლი. აღდგომა ჯვარცმასა და სიკვდილს მოჰყვება ღვთისა და მოყვასისათვის. ოთხი დიდი ქართველის მონამებრივი აღსასრული, საქართველოს ფარგლებს გარეთ, არაქართველთათვის, საქართველოს აღდგომისა და უკვდავების ჰიმნი. ეს მარადისობის საგალობელი შექმნა თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად სულითა და ხორციით უმშვენიერესმა ქართველმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ. ღმერთმა შეაძლებინოთ მათ,

მრავალ ქართველში გააღვიძონ სული ღვთისა და მოყვასის თავდადებული სიყვარულისა.

**ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი, 2015 წლის 21 აპრილი.**



მე დღეს მივიღე დიდი სულიერი საზრდო. თქვენი შემოქმედების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაგარი გული, წერვები, დიდი მოთმინება. თქვენთვის ვილოცებ, რომ დიდხანს იცოცხლოთ და იმოღვაწეოთ საქართველოსთვის.

**იუზა ტყემალაძე, 2015 წლის 21 აპრილი**

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი უდიდესი აღმოჩენაა ქართული კულტურისათვის. ქალბატონმა იზამ ახალი სიტყვა თქვა ქართულ ხელოვნებაში. მე აღფრთოვანებული ვარ მისი ნიჭით, ტალანტით, სცენიურობით, მესხიერებით. ის დაამშვენებდა ნებისმიერ თეატრს საქართველოში, მათ შორის რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებს, მაგრამ მან თავისი მოღვაწეობით ხარაგაულში დაამტკიცა, რომ ასეთ პატარა რაიონშიც შეიძლება ადამიანები ეზიარონ ჭეშმარიტ ხელოვნებას.

ქალბატონო იზა, თქვენ დიდ მაგალითს აძლევთ ჩვენს მომავალ თაობებს, თქვენ მათ სულგებს ზრდით პატრიოტული სულისკვეთებით.

დღეს მე ვიხილე საოცარი სპექტაკლი „მოყვასისათვის შენიშვნები“, რომელიც სხვა დიდ ქართველებთან ერთად ეძღვნება ჩემს დიდ წინაპარს - მიხეილ თამარაშვილს. დღევანდელი დღე ჩემთვის განსაკუთრებულია, ქალბატონმა იზამ სცენაზე გააცოცხლა ჩვენი დიდი წინაპრები, ჩვენი დიდი გმირები, რომლებმაც თავი გასწირეს მოყვასის სიცოცხლის გადასარჩენად. ასეთ ქართველებზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა. თქვენ საქართველოს მშვენიერება ხართ ქალბატონო იზა!



ნაპრები, ჩვენი დიდი გმირები, რომლებმაც თავი გასწირეს მოყვასის სიცოცხლის გადასარჩენად. ასეთ ქართველებზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა. თქვენ საქართველოს მშვენიერება ხართ ქალბატონო იზა!

**ანზორ თამარაშვილი, მუსიკოსი, მიხეილ თამარაშვილის შთამომავალი, 2015 წლის 1 მაისი**



უმრავი სტუმარი მიგვიღია ახალციხეში, უამრავი სალამოს მნახველი ვარ,

მსგავსი არასოდეს მინახავს. დიდი მადლობა ლიტერატურულ თეატრს.

**რეზო გიქოშვილი, მიხეილ თამარაშვილის შთამომავალი, 2015 წლის 1 მაისი.**



დღეს, მე ვიგრძენი მონატრებული ქართული სული. თქვენი თეატრის მოღვაწეობა არის ძალიან დიდი ეროვნული საქმის სანინდარი.

**ნუგზარ თამარაშვილი, მიხეილ თამარაშვილის შთამომავალი**



ჩვენ განვიცადეთ საოცრად ემოციური წუთები, დარბაზი ცრემლს ვერ მალავდა, იყო დიდი ვნებათაღელვა და თან აღფრთოვანება. მიხეილ თამარაშვილის შთამომავლები ქედს ვიხრით ქალბატონი იზას წინაშე, მისი მშვენიერების, ნიჭის, სცენიურობის და საოცარი შემოქმედების წინაშე.

**ზაზა თამარაშვილი, მუსიკოსი, ანსამბლ „მესხეთის“ ხელმძღვანელი**



ქალბატონო იზა, თქვენ უნიკალური თხრობით და მეტყველებით სულის სიმბეჭეტი შეგვირჩიეთ და სიამაყით აგვაგვსეთ.

**ნონა ჯობლაშვილი, 2015 წლის 22 მაისი**



ქალბატონო იზა, თქვენ ხართ ჭირისუფალი საქართველოსი.

**ნინო იაშვილი**



დუშეთის კულტურის სახლს, სადაც ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ სპექტაკლი „ამ მინის ბედი ჩემი ბედა“, წარადგინა, დიდი ინტერესით და გოდერძი ჩოხელისადმი დიდი სიყვარულით ვეწვიეთ.

პირველივე ემოცია საოცარი იყო - სცენაზე გოდერძი ჩოხელის სამყაროდან მოფრენილი, ცისფერკაბიანი, „სულის პეპელა“ ამეტყველდა. სულის მოთქმაც არ გვაცალა, ისე გავვიტაცა საოცნებო, გოდერძის ხელთუქმნელ სამყაროში. ხელოვანის უზალო პროფესიონალიზმი და სიტყვის ვადოსნური ძალა, მყუდროებისთვის კიდევ უფრო ახლობელს და მისეულს ხდიდა გოდერძი ჩოხელის სამყაროს. სულგანაბული ისმენდა მთელი დარბაზი საათნახევრის განმავლობაში, ოვაციის და ცრემლს ვერ მალავდა სუნთქვაშეკრული აუდიტორია...

ამ დროს გიჩნდება სურვილი, სალამო მალე არ დასრულდეს, მაგრამ უკვე გრძნობ, სცენიდან წამოსული ემოცია და მუსიკა იმდენად ძლიერი და გადამდებია, გოდერძი ჩოხელის სამყარო ისე ღრმად

მეტრ სიმაღლეზე მათი სტუმრობა იყო ძალიან სასიხარულო და მოულოდნელი, რადგან მრავალი წელია აქ არ ამოსულა არც ერთი მხატვრული კოლექტივი. ეს ჩვენთვის მოულოდნელი სიხარული და დიდი საჩუქარი იყო. თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ჩვენი ოტია“ იყო საოცრად შთაბეჭდავი, ამაღლებული, დაუფინყარი...

ქართულ გენს, ქართულ სულს, მხოლოდ ასეთი სალამოები და ასეთი მოღვაწეობა გადაარჩენს...

ენით უთქმელია მიღებული შთაბეჭდილებები...

**ნონა რატიანი, უშგულის სკოლის დირექტორი, 2013 წლის 23 ივლისი.**



24 აგვისტოს, ხევსურეთში, სოფელ მუცოში, მუცოს ციხეზე ლიტერატურულმა თეატრმა გამართა გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი. გურამ რჩეულიშვილი ხომ უსაზღვროდ იყო შეყვარებული ხევსურეთზე და ხევსურებსაც გამორჩეულად უყვარდათ იგი.

ლიტერატურულმა თეატრმა და ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ უღამაზესი და დაუფინყარი დღე აჩუქა ხევსურეთს... ეს იყო იმედი და ნათელი სხივი, რომ დაიწყება მთის აღორძინება, ხევსურეთს ხომ ძალი-



ან ენატრება და სჭირდება ყურადღება. დიდი მადლობა ლიტერატურულ თეატრს ასეთი მამულიშვილური ღვაწლისთვის, ასეთი მოღვაწეობისა და ქვეყნის სიყვარულისთვის.

**ლელა გოგოჭური, ავთანდილ ჭინჭარაული, ავთო გოგოჭური, მიხეილ ჭინჭარაული, გიორგი ქუთათელაძე, ნაზი კორძაძე, ავთო, სოსო ჭინჭარაული.**



2013 წლის 25 ივნისს ფასანაურს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი სტუმრობდა. მათ გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი წარმოადგინეს. გვიანდა უდიდესი მადლიერება გამოვხატეთ ქართული სიტყვის ოსტატის იზა ვეფხვაძის მიმართ. სანამ იზა სცენაზე დგას, გოდერძის გული ისევ უკვდავია, რადგან მისმა ხელოვნებამ თითოეულ ჩვენთაგანს გაგვიხანსა ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობა, ეს კი მხოლოდ დიდ ხელოვანს შეუძლია.

მადლობა ქალბატონო იზა, მადლობელი ვართ, რომ ქართულ საქმეს ასეთი ნიჭიერებით ემსახურებთ. ერთი ადამიანისთვის ბევრია, ძალიან ბევრი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მისმა მესხიერებამ, არტისტიზმმა და პროფესიონალიზმმა, გავავოცა სამშობლოსადმი მისმა უსაზღვრო სიყვარულმა. ამ სიტყვების დასტურია აცრემლებული დარბაზი, ემოციები, ალტაცება. მადლობა ლიტერატურული თეატრის კოლექტივს ამ განუმეორებელი დღისთვის.

სცენაზე, გოდერძი ჩოხელის სურათთან ანთებული სანთელი იქნება სიმბოლო ასეთი ეროვნული სულით გაჟღენთილი სალამოებისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებისთვის. ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ ამ თეატრის და იზა ვეფხვაძის ყველა საავტორო ლიტერატურულ სპექტაკლს ვინილავთ.

**მ. ცოცხალაშვილი, ე. ქავთარაძე გ. სანებლიძე, ნ. ბეჟარაძე**







ლეგენდებიდან მოსულს!  
 ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი არის ერის გენთან თანაზიარი, ეროვნული, სიღრმისეული ფესვებიდან ამოზრდილი სულიერების უმნიშვნელოვანესი კერა, რომელიც ისევე ესაზღვრება და სჭირდება ყოფიერების სისასტიკით გაუხეშებულ ადამიანთა სულებს, როგორც დაურწყულ ბუბულ მინას მონატრებული, შხაპუნა წვიმა... ხარაგაულის სახალხო თეატრის სათუთად მფეთქავი გული — ფარვანა-დედოფალი, უმშვენიერესი ქალბატონი იზა ვეფხვაძე არის „ძველთა, ღირსთა დედათა სადარი“ მანდილოსანი, რომელიც უფლის დიდი საჩუქარია არა მარტო ხარაგაულის, არამედ სრულიად საქართველოსათვის... ხარაგაულის სახალხო თეატრზე და ქალბატონ იზაზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭიათურელების სახელით ვულოცავთ სულიერების ამ უფაქიზეს კერას და მის მანათობელ მზეს—უნაზეს მანდილოსანს, თეატრზე მზრუნველ ყველა ადამიანს და გულშემატკივრებს, საიუბილეო თარიღს! ვუსურვებ, კვლავაც უამრავი წელი, უამრავი ადამიანი აეთრთოლებინოს ნიჭის, სიფაქიზის, გონიერების, სათნოების ღვთიურმაღლანაკურებ ნაჭურს! ქალბატონ იზას მოვეფრები ლექსის სტრიქონებით, რომელიც მაშინ დაინერა, ლიტერატურული სპექტაკლი „მთის ბალადა“ რომ ვიხილე და საოცარი შთაბეჭდილებები მომიზღვავდა:

...ღირსთა დედათა სადარი  
 თქვენ, ბარაქალა ქალო,  
 ალგეთს ლეკვების დამგეშო,  
 ზეცის ლაფარდო თვალო.  
 ერის ძუძუთი ნაკვებო,  
 ნატიფო დედოფალო!  
 ლეგენდებიდან მოსულო,  
 თავად ლეგენდა ქალო!  
 „მთის ბალადიდან“ მოსულო,  
 მყინვარის დედოფალო!  
 ძველ მითებიდან მოსულო,  
 თეთნულდის დედოფალო!!!

მაია ტყემალაძე,  
 ჭიათურის მუნიციპალიტეტის  
 გამგებობის კულტურის სამსახურის უფროსი

**უნიკალური თეატრი**

ოცი წელი ნაღდად საიუბილეო თარიღია. მთავარია, როგორ განვლავ და რა გააკეთე ამ ოც წელიწადში (რა შემატე ხალხს, სამშობლოს!...) ამ ჩვენს არეულ დროში, ისიც გაგვიგია, ყოველ სამ წელიწადში რომ იხდიან მრგვალ და საიუბილეო (საიდან? როგორ?) საღამოებს ფულზე დახარბებული „მოღვაწენი“, მაგრამ ეს იქით (შორს ჩვენგან!) იყოს... ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრმა კი ეს ოცი წელი (არაფერს ვამეტებ) ტრიუმფით განვლო.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში თემურ შაშიაშვილმა მიმანიშნა ამ თეატრისკენ და იზა ვეფხვაძის უნიკალური მესხიერებისაკენ. მერე ჩვენ (მე და იზა) დავმეგობრდით, ერთხანს კოლეგებიც გახლდით (კულტურის სამსახურებს ვხელმძღვანელობდით ქუთაისში და ხარაგაულში), ქართულ, ეროვნულ საქმეებს ვაკეთებდით (ჩვენი თვალთახედვით) და მოვდიოდით ამ დღეებამდე.


საქართველოში ოდითგანვე გამეფებულიყო „რატომ კარგი ავიგია...“ და იზამაც გადაიტანა ეგ ავი სენი, თუმც ვერც ვატყებ და ვერც „ბილნთ შაეკრა ზავითა...“ მეტი მონდომებით, მეტი თავგანწირვით აკეთა საქმენი (თავის ერთგულ თანამებძოლებთან ერთად) საკეთილონი, გავიცოცხლა და მოგვანატრა საქართველოს უკეთესი შვილები: ესმა ონიანი, მერაბ კოსტავა, გოდერძი ჩოხელი, იოსებ ჟორდანი, გრიგოლ ფერაძე, მიხეილ თამარაშვილი, ჯაფარიძეთა დიდი გვარი, ქართველ ებრაელთა ბრწყინვალე წარმომადგენლები და კიდევ რამდენი?!

საკმარისია საიუბილეოდ თუ... არც ამით დაკმაყოფილდა; იმ დიდი კაცის, იმ დიდი მამულიშვილის (რომლის სახელობის არის იუბილარი თეატრი) ძეგლის დადგმა მოინდომა და... დიდი რეზო თაბუკაშვილის ვაჟკაცური (თანაც ლამაზი) ბიუსტი ამშვენებს დღეს ხარაგაულს, რაშიც მოკრძალებული წვლილი მეც მიღვეს, ხოლო ფრიადი ღვანლი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს (უღრმესი მადლობა ბატონ კობა ლურსმანაშვილს, მის მეგობრებს და კოლეგებს). მეტი რაღაი ვთქვა, რით მოვეფერო ამ უნიკალურ (ერთ მუშტად შეკრულ ჯგუფს) თეატრს, ვისურვებდი ორმოცდაათი წლის იუბილევ მომელოცოს.

თქვენი გიზო თავაძე

ქართულ-ებრაული ურთიერთობის დიდ მოღვაწეს, უნიჭიერეს და უმშვენიერეს ქ-ნ იზა ვეფხვაძეს, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს, ვულოცავ თეატრის დაარსებიდან 20 წლის იუბილეს! სიყვარულის, სიკეთის, მეგობრობის, ჩვენ ერებს შორის მეგობრობის ელჩს – იზა ვეფხვაძეს განსაკუთრებულად დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებას და სიკეთეს ვუსურვებ!

მეირ შავიტი - მაქსი პატივისცემით მხატვარი დიზაინერი ისრაელიდან



რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ სახალხო თეატრს 20 წელი უსრულდება, – მინდა მოგილოცოთ, გისურვოთ შემოქმედებითი წინსვლა, თქვენი უდიდესი და დაუღალავი შრომის შედეგია ის, რასაც მაყურებელი სცენაზე ხედავს, დაუფიქრებელი ემოცია. დღეს ცივილიზაციის ასეთი დაჩქარებული ტემპის ეპოქაში, როდელია ადამიანებში შეარსებო გრძნობის სიმი, გამოიწვიო სიხარულის, სიამაყის თუ სევდის ცრემლი. თქვენი პროფესიონალიზმით ამას წარმატებით ახერხებთ. არასოდეს დამავინყდება გურჯაანის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი სპექტაკლი „მოყვასისათვის შენირული“. ჩვენს თვალწინ გაიარა 4 უდიდესი ქართველის ცხოვრებამ, მათ შორის იყო გურჯაანის მკვიდრი გრიგოლ ფერაძე, რომლის ღვანლის შეფასება შეუძლებელია, თითოეული ჩვენთაგანი ტირილი ბედნიერების და სიამაყის ცრემლებით, მაყურებელი მადლობას გვიხდის იმ ნუთებისთვის, მაგრამ ეს მადლობა მხოლოდ თქვენ გეკუთვნოდათ ქალბატონო იზა, თქვენი განუმეორებელი ხმა, მეტყველება, ვიზუალი, დაუფიქრებელი შთაბეჭდილებას ახდენს. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, უფლის წყალობა, შემოქმედებითი წარმატება. უდიდეს საქმეს ემსახურებით, მომავალ თაობებს ახსენებთ ვისი ჯიშისანი ვართ, რა გვევალება, რას ვემსახურით, რისთვის ვიცხოვროთ.

ეკატერინე ბეროშვილი,  
 გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებობის  
 კულტურის, განათლების, ძველთა დაცვის,  
 სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა  
 სამსახურის უფროსი

აღფრთხილებული ვარ ხარაგაულის ლიტერატურული თეატრითა და კულტურული ცხოვრების აქტიურობით. გეოგრაფიულად ხარაგაული საქართველოს ცენტრალურ რაიონს წარმოადგენს. ამავდროულად, ეს რაიონი სამაგალითოა ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის იზა ვეფხვაძისა და ამავე რაიონის გამგებობის კობა ლურსმანაშვილის გამორჩეულობით. ამგვარი გამგებელი ყველა რაიონს, ხოლო ქართული კულტურის ამგვარი ქომაგი და მოამაგე ყველა თეატრს დაშვენდება. ჩემო იზა, ჩემო კობა - სულითა და გულით ვილოცავთ თეატრის საიუბილეო თარიღს. წარმატებები ყოფილიყოს თქვენი საქმიანობის თანმდევი.

ჯუმბერ კოპალიანი, ისტორიის მეცნიერებათა  
 დოქტორი, პროფესორი

ჩვენს ძვირფას ლიტერატურულ თეატრს, მის მშვენიერ ხელმძღვანელსა და უნიჭიერეს მსახიობს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს ვულოცავ ამ საიუბილეო თარიღს – 20 წლისთავს.

ემიგრანტი გახლავართ და ამის გამო არასდროს დავსწრებივარ რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის სპექტაკლს, მაგრამ ორი წლის წინ, ინტერნეტის საშუალებით მოვეუსმინე შესანიშნავ წარმოდგენას გოდერძი ჩოხელის შესახებ. იმ დღიდან შევიყვარე და გულიდან აღარ გავუშვი საოცრად ქართული, ეროვნული მუხტით დამუხტული მათი შემოქმედება. შეუძლებელია მოისმინო ქ-ნ იზას საოცრად მეტყველი, გრძნობით აღსავსე, სულში ჩამწვდომი ხმა და არ მოინუსხო. არ ჰპოვოს გამოძახილი თითოეული ადამიანის გულში, ვინც კი მას ისმენს. მათი სპექტაკლებიდან თითქოს ჩონგურის საოცრად ჰარმონიული და სევდიანი ბგერები იღვრებ, ისეთი ქართული, ისეთი თბილი... ბარაქალა მათ სულისკვეთებას, მხნეობასა და ღვთიურ საქმეს! ისინი ხომ საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს უვლიან და უდიდეს სიხარულს, სიამოვნებასა და სულიერ საზრდოს აწვდიან თითქმის მიუვალ სოფლების მოსახლეობას. ათრთოლებენ მათ გულისძარღვსა და შეახსენებენ თუ ვისი გორისანი არიან!

ერთ მშვენიერ დღეს, აუცილებლად ავიხდენ ნატურას-დავესწრები და შევერწყები მათ დაუფიქრებელ სანახაობას, ქართული სიტყვის, გენისა და ზნეობის ზეიმს.

უფლის წყალობა, ხალხის სიყვარული და დაფასება ამ შესანიშნავ ლიტერატურულ თეატრსა და მის მშვენებას, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, მრავალჯამიერ!

ხათუნა შავგულიძე, ლონდონი.

ჩემო ძვირფასო იზა! გილოცავთ ამ დიდებულ თარიღს! შენ საქართველოს საგანძური ხარ! შენმა ნიჭმა, მიზანსწრაფულობამ დიდი საქმე გააკეთა. სწორედ შენისთანა ქალების წყალობით მოვიდა დღემდე საქართველო! შენ სიყვარულის ქალი ხარ ასე რომ ეფერები შენს ხალხს! დიდი მადლობა იმისათვის, რომ შენ არსებობ, ჩემო იზა!

„გულს შემომანვა დარდის ღრუბელი და ჩამაფიქრა ყოფამ წამიერ, შენ საქართველოს საგანძური ხარ, ქართველო ქალო მრავალჯამიერ!“  
 დიდი სიყვარულით და ერთგულებით,  
 მიმოზა ცანავა, პოეტი

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს, მის დამაარსებელს და რეჟისორს, უღირსეულეს, უნიჭიერეს და უმშვენიერეს ქ-ნ იზა ვეფხვაძეს ვულოცავ თეატრის დაარსებიდან 20 წლის იუბილეს! ვუსურვებ: 120 წელს ვგრძელებინოს ჯანმრთელს, ასევე მშვენიერსა და ბედნიერს მისი მადლ – ცხებული, საშვილიშვილოდ შეუდარებლად სასარგებლო უნიკალური მოღვაწეობა. ასეთივე ახალგაზრდული შემართებით ეთესოს სიყვარულის, სიკეთის, მეგობრობის თესლი ერთა შორის, ენთოს ხალხთა შორის სათნოებისა და კეთილშობილების მანათობელ ჩირაღდნად სამყაროს გადასარჩენად და უფრო გასამშვენიერებლად!

ქართველთა და ებრაელთა უსაზომო სიყვარულის, თანადგომის სადღეგრძელოდ, „იარდენით“ და „ხვანჭკარით“ სავსე სასამისს მოვამალე ჩემო ტკბილო საქართველო!

დაგილოცავ იმ ღირსეულ მამულისშვილთ, ღვანლმოსილებს, ნიჭიერთ და უერთგულესთ, შენს მომავალს რომ უდგანან დამცველებად, შენი მადლი უჩქერებთ და უთბობთ გულებს!

მაქვს პატივი მრავალთაგან ერთს ვიცნობდე, ხელოვნების ეშით უძგერს სათნო გული, დაელოცოს გამზრდელ დედის იაგნანა, აკენიდანვე რომ ასწავლა სიყვარული. და აუნთო სულში მამულისთვის კვდომის, თავდადებულ, ალალ შრომის ჩირაღდანი, უნაზესი ქალი, გვარის შესადარი, იზას მსგავსი გაგიცნიათ?! სხვა ვინ არი?! მამ დავლით ამ თეატრის სადღეგრძელო, დე, ასოციც მომელოცოს ისევე, ამენ! თუ არა და, მომავლებმა გადღეგრძელონ, მნამს, ამ ღვანლის ნერგებს ისინიც დარგავენ!!!

ლილი გაგულაშვილი – კრისელი,  
 ისრაელი ქ. აშდოდი. 14.06.2015

თითებზე ჩამოსათვლელ ქართველებს შორის, ვინც ამ რთულ დროში ქართულ საქმეს აკეთებს, ერთ-ერთი უპირველესია იზა ვეფხვაძე. ის ორი ათეული წელია თანმიმდევრულად, დაუღალავად, უანგაროდ და დიდი სიყვარულით ემსახურება ჩვენს სამშობლოს. გილოცავ იზა, ღმერთმა შეგაძლებინოს და ასე ენერგიულად გაგაგრძელებინოს ქვეყნის სამსახური.

გულითადად  
 ნინო მიქიაშვილი, ჟურნალისტი



### ჯადო-ნათელი, როგორც ცისკარი

გულითადად ვულოცავ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრს ოცნლიან იუბილეს. ჩემს თვალწინ დაიბადა თეატრის შექმნის იდეაც და გადაიდგა მისი პირველი ნაბიჯებიც, რომელიც გულწრფელად მიიღო საზოგადოებამ. ვფიქრობ, ოცი წელი არც ბევრია და არც ცოტა იმ ღვანლისათვის, რაც შემოქმედებითმა ჯგუფმა, პირადად მისმა შემქმნელმა, რეჟისორმა და მსახიობმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ გასწია ამ ხნის მანძილზე. ბევრია მართლაც დახარჯული ენერჯია, პირადი სულიერი და მატერიალური რესურსები და ძვირფასი დრო, მაგრამ ცოტაა ჯერ კიდევ იმასთან შედარებით, რა მიზანდასახულობაც მას გააჩნია სამომავლოდ, ამიტომ ვუსურვებ ახალი შემოქმედებითი ენერჯის მოზღვაებას,

რათა მთელ საქართველოს გადასწვდეს იმ ჯადოსნური სიტყვის ძალა და შინაარსი, რომელიც ჩვენს სათაყვანებელ მამულსა და დიდ მამულიშვილებს ეძღვნება უშურველად.

**სიტყვას, მოხმობილს საგანძურადან, მოვარაყებულს ოსტატის ენით, გრძნობებს, წამოსულს**  
**წრფელი გულიდან – სულმოუთქმელად კვლავ მრავალს ველით.**  
**მამულს ალივით სწრაფად ედება ჯადო-ნათელი, როგორც ცისკარი, დალოცვილ იყოს შემოქმედება, კვალი შთენილი – დაუვინყარი.**  
**ვალერი გოგნაძე, ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი**



ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი ქართული თეატრალური სამყაროს მშვენიერებაა, მისი დედაბოძი – იზა ვეფხვაძე კი ის საოცარი ნიჭიერება, რომელიც ჯერ იმერეთის რეგიონმა, შემდეგ დედაქალაქმა და დღეს უკვე სრულიად საქართველომ სიყვარულით მიიღო და დამსახურებულად აღიარა.

თეატრი კამკაშა ვარსკვლავით კიაფობს და გვახსენებს საქართველოს საამაყო შვილებს, ღვანლმოსილ ადამიანებს, დიდ შემოქმედთ, მოყვასისათვის შეწირულებს, სიყვარულით გვირიგებს მაღალი ზნეობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის უზადლო მაგალითებს, გვახსენებს ვისი გორისანი ვართ.

იზა ვეფხვაძე განსხვავებული, მინაზე მოარული სიყვარულია, მოზეიმე ნიჭიერებაა!

აღფრთოვანებით ვეგებები თეატრის იუბილეს და ბედნიერი ვარ, რომ მისი შემოქმედებითი ცხოვრების თითქმის ყველა ფურცელი ცნობილია ჩემთვის – ხანყისიდან დღემდე.

ჩემთვის ამ თეატრის ყველა სპექტაკლი ზეიმია... სიამაყისა და ცრემლის ზეიმი. სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ საიუბილეო თარიღს. მწამს, ეს თეატრი ვარსკვლავი ღირსეულად დაიმშვენებს ყველა ჯილდოს, რაც მას ეკუთვნის, რაც ეკადრება.

ჩემო იზა! სიამოვნებით დავესხები პოეტს და მისი სიტყვებით მოგმართავ: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენებოდა“...

**ცისანა ქოჩჩიაშვილი, ლიტერატურულ სალონ „საგულისონის“ ხელმძღვანელი**

# 20

## ერის მატისცემამე მოყურადე თეატრი

ვინც იზა ვეფხვაძეს იცნობს, მისი ნიჭიერებისა სმენია, მისი თავგადაკლული სწრაფვა სიხალისაქენ ერთხელ მაინც შუგრძენია, გამოკვეთილი ეროვნული ცნობიერება დაწერილი დაუნახავს ან ნაამბობი გაუგონია, სულაც არ გაუკვირდება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი წარმატებები. ესაა ერის მაჯისცემამე მოყურადე თეატრი.

ოცი წელი გასულა მას შემდეგ, რაც იზა ვეფხვაძემ დააფუძნა იგი. რამდენი საოცარი სპექტაკლი, რამდენი გაცოცხლებული სული, რამდენი აღმაფრენა და უამრავ ტკივილს მალამოდ გადებული სიტყვა თქმულა ამ სცენიდან.

ბარაქალა თქვენს დიდ მსახიობობას, დიდ ქართველქალობას, დიდ თეატრალობას!  
**პატივისცემით ელგუჯა თავბერიძე. მწერალი**

## წინ, ახალი სივრცეებისკენ!

მაღალი სულიერი კულტურით, ინტელექტითა და ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ ხარაგაულის საზოგადოებას სიკეთის დიდი ჩირაღდანი აუნთო უფლის მადლმა, როცა იზა ვეფხვაძე და მისი ლიტერატურული თეატრი მოუვლინა.

დუხჭირი ყოფითა და ძნელბედობით დატვირთულ გასული საუკუნის 90-იან წლებში, კერძოდ, 1995 წელს დაფუძნებული ლიტერატურული თეატრი 1998 წლიდან ხარაგაულის მკვიდრის, დიდი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო თაბუკაშვილის სახელს ატარებს, 2003 წლიდან კი სახალხო თეატრის ტიტულის მფლობელია.

კოლოსალური ენერჯია, ზეპირმეტყველების შეუდარებელი უნარი, ჭეშმარიტი არტიზტიზმი და ქართული ენის ჯადოსნური ხიბლია ამ წლების განმავლობაში იმ 54 სპექტაკლის ძალმოსილება, რომელიც განუმორებლად თან ახლავს თეატრის სცენარისტს, რეჟისორსა და მსახიობს, ქალბატო იზა ვეფხვაძეს.

ვიგა ლორთქიფანიძის, ედიშერ მაღალაშვილის, გოგი გეგეჭკორის, ოთარ მელვინეთუხუცესის, დევი აბაშიძის, ნინიკო ჩხეიძის, ევგენი ხარაძის, შოთა ნიშნიანიძის, ოტია იოსელიანის, გურამ დონანაშვილის, მიხეილ ქვლივიძის, კიტა ბუაჩიძისა და სხვა დიდ მამულიშვილთა შეფასების შემდეგ, ძნელია, მოვნახო ფრაზა იზა ვეფხვაძესა და მის თეატრს რომ მიესადაგება.

ჩემო იზა, ჩვენო იზა! მაინც ვბედავ ვთქვა ჩემი სათქმელი. შენი მადლია, რომ დღემდე მომყვება და ჩემს ასაკში ერთიანად მიზყრობს ის სიმშვიდე, რაც საგაკვეთილო პროცესიდან, შენი მონათხრობი გაკვეთილებიდან მომყვება... უბედნიერესი ვარ, რომ წლების მანძილზე ვიყავი შენი სიტყვიერების მას-

წავლებელი, შენი კლასის დამრიგებელი...

შენ ჭეშმარიტად ახალი სიტყვა თქვი



ქართულ ხელოვნებაში, ღვთიური მადლით გააბრწყინე ჩვენი ენა ქართული, მისი საუფლო!

შენი ნიჭიერებით მარტო ხარაგაულს კი არა, სრულიად საქართველოს დაეპატრონე, ლევილის წმინდა მინაში განსვენებულ ქართველებსაც უჭირისუფლე („ლევილის მთაწმინდა“) და ქართულ-ებრაულ ოცდაექვსსაუკუნოვან მეგობრობასაც დაადგი შარავანდედი („ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“)! გზა დაგელოცოთ შენ და შენს სულიერ პირმშოს – რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრს!

წინ, ახალ სივრცეებზე დასაბინადრებლად, ერის სულიერი ღირსების ასამაღლებლად!

**მერი გიორგიძე, ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი**



2015 წლის 24 ივნისს გაიმართა თეატრის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იუბილის ფარგლებში გაიმართა რეზო თაბუკაშვილის სსუნისადმი მიძღვნილი, იზა ვეფხვაძის საავტორო ლიტერატურული სპექტაკლი „მე წავალ, მაგრამ საბუღალოდ თქვენთან დავრჩები...“ ამავე დღეს, ხარაგაულში, გაიხსნება რეზო თაბუკაშვილის ბზინჯაოს ბუესტი (მოქანდაკე გიორგი კიკვაძე).

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.